საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/48

ქ. ბათუმი 22 მარტი, 2021 წ.

,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (ინგლისურენოვან) პროგრამაზე მე-8 ნაკადზე ჩარიცხულ სტუდენტთათვის 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის აკადემიური კალენდარისა და საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 1 თებერვლის N01-02/13 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე''ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 სექტემბრის N06-01/59 დადგენილების (ცვლილება აკად. საბჭოს 2021 წლის 15 მარტის N06-01/23 დადგენილებით) ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქეების (ე.წ. მე-8 ნაკადის) ჩარიცხვის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 იანვრის №01-08/04, 17 თებერვლის N01-08/24 და 12 მარტის N01-08/102 ბრძანებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის 2021 წლის 09 მარტის MES 6 21 0000203922 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო (ინგლისურენოვან) პროგრამაზე მე-8 ნაკადზე ჩარიცხულ სტუდენტთათვის 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის აკადემიური კალენდარისა და საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 1

თებერვლის N01-02/13 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, **პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამაზე 2021 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ჩარიცხული სტუდენტებისთვის **(ე.წ. მე-8 ნაკადზე ჩარიცხული პირები)** 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის (პირველი სემესტრი) აკადემიური კალენდარი განისაზღვროს და სასწავლო პროცესი წარიმართოს შემდეგნაირად:

,,ა) გაზაფხულის სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია - 19 აპრილის ჩათვლით (აპრილის ჩარტერული რეისით საქართველოში ჩამოსული ბსუ-ს სტუდენტებისათვის - 24 აპრილის ჩათვლით);
ბ) გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/კლინიკური/ლაბორატორიული სამუშაო) **დაიწყოს 2021 წლის 19 აპრილს და დასრულდეს 2021 წლის 31 ივლისს** (სულ 15 სასწავლო კვირა);
გ) გაზაფხულის სემესტრის **ძირითადი** საგამოცდო სესია ჩატარდეს **2021 წლის 2 აგვისტოდან** 22 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო **დამატებითი** საგამოცდო სესია - **2021 წლის 23 აგვისტოდან** 29 აგვისტოს ჩათვლით;
დ) 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი წარიმართოს ჰიბრიდული ფორმატით, თეორიული ნაწილი (ლექციები) - დისტანციურად, ხოლო პრაქტიკული, ლაბორატორიული და კლინიკური კომპონენტი - საუნივერსიტეტო სივრცეში და სამედიცინო ბაზებზე, არადისტანციურ ფორმატში;
ე) სასწავლო პროცესი წარიმართოს ყოველ დღე, გარდა კვირისა, ფაკულტეტზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად. აკადემიური საათი განისაზღვრება 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი/შესვენება - 10 წუთით. დისტანციური სწავლების პირობებში, აკადემიური საათის ხანგრძლივობა განისაზღვრება ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სერვისების მეშვეობით მიწოდებული ინსტრუქციით (არანაკლებ 40 წთ-ით, სტუდენტთა საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ელექტრონული კომუნიკაციის პირობით), თანახმად ,,ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცებისა და 2020-2021 სასწავლო წლის ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის N01-02/130 ბრძანებისა;

2. **ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა უზრუნველყოს:**

ა) წინამდებარე ბრძანების შესაბამისად აკადემიური კალენდარისა და ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სწავლის საფასურის გადახდის წესის შესახებ ბსუ-ს

ინგლისურენოვანი პროგრამის ყველა სტუდენტის ინფორმირება, ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების პროცესში შექმნილი საკომუნიკაციო ყველა საშუალების გამოყენებით (სტუდენტთა საჯარო ინფორმირება);

ბ) ბსუ-ს ინგლისურენოვანი პროგრამაზე მე-8 ნაკადზე ჩარიცხულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების, პირადი საქმეების ფორმირებისა და სტუდენტთა მიერ 2021 წლის გაზაფხულის სემესტრის აკადემიური რეგისტრაციის შედეგების შესახებ მონაცემების შეგროვება და წარმოდგენა;

გ) სასწავლო პროცესის წარმართვის ღონისძიებებთან, ასევე სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის მონაცემების გათვალისწინებით ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებებში ცვლილებების შეტანის შესახებ სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა (სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან კონსულტაციების საფუძველზე).

3. ბსუ-ს **საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა** და ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის **ფაკულტეტმა,** კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყონ ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მე-8 ნაკადზე ჩარიცხული პირებისათვის ბსუ-ს კორპორატიული ელ.ფოსტების შექმნა (რათა შესაძლებელი იყოს მათი ე.წ. ,,**google classroom**" ელექტრონულ სისტემაში დაშვება, მსგავსად ამავე პროგრამაზე ჩარიცხული შვიდივე ნაკადის სტუდენტებისა);
4. ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის სამსახურმა, ერთობლივად, უზრუნველყონ მე-8 ნაკადის სტუდენტთა მიერ სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემით/სტუდენტური პორტალით სარგებლობა (2019 წლის ნოემბერში აკრედიტირებული ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო **(ინგლისურენოვან) პროგრამის დამატება ელ.ჟურნალში (spm@bsu.edu.ge)**).
5. წინამდებარე ბრძანება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და ეცნობოს სტუდენტებს.
6. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
7. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.
8. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**